

ცოცხალი ორგანიზმების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მასზე მოქმედი ყველა ფაქტორის გათვალისწინება და ზოგიერთი დამაზიანებელი მოქმედების შემთხვევაში დარღვევების დროული გამოვლინება რათა მოხდეს უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილება.

ორგანიზმზე ზემოქმედების ძლიერი ფაქტორია მაიონიზირებელი გამოსხივება , რომელიც ანადგურებს უჯრედებს და შესაბამისად მთლიან ორგანიზმს ან ძირეულად ცვლის მათში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესებს,დეფექტური სტრუქტურების წარმოქმნის ხარჯზე.

ნაშრომში მოცემულია მაიონიზირებელი გამოსხივების შესახებ არსებული ინფორმაცია. განხილულია მისი მოქმედების პრინციპი ერთეულოვან უჯრედებზე, ასევე უარყოფითი და დადებითი მხარეები და მისი შესაბამისი გამოყენება მედიცინაში .